# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/84

ქ. თბილისი 14 ივლისი 2021წ

**65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განცხადებების შეტანის ვადის გახანგრძლივების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების შესაბამისად, სტუ-ის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის ბექა მაისურაძის 2021 წლის 14 ივნისის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 14 ივლისის №01-05-02/16 სხდომის ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის თაობაზე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად განცხადებების შეტანის ვადა გახანგრძლივდეს და განისაზღვროს 2021 წლის 16 ივლისის ჩათვლით.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ნ. კუტუბიძე**